41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM

ძვირფასო გარდაბნელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი გარდაბნის მერობის კანდიდატისა და გარდაბნის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს გარდაბნის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს გარდაბანი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 8 მლნ 786 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 22,4 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სულ 11 მლნ 374 ათასი ლარი იყო, 2021 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი 34 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

2014-2021 წლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელდა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 6 პროექტი (**ჯამური ინვესტიცია 8 020 331 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 3 037 967 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 6 პროექტი (ინვესტიცია ჯამურად 920 197 ლარი, თანამონაწილეობა 317 428 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 896 ჰექტარზე განხორციელდა 93 პროექტი (ინვესტიცია 14 191 263 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 608 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 1 334 974 ლარი), რითაც 103-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გაცემულია 50 095 ლარი. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 9 კოოპერატივი (96 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 96 920 ლარი). **„შეღავათიანი აგროკრედიტის“** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჯამურად 168 091 811 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა – 26 923 841 ლარი), რითაც 1 206-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 5 პროექტი (ჯამურად 246 783 ლარი, თანადაფინანსება 96 670 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა,** რომლის ფარგლებშიც შესყიდულია 579 973 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 278 416 ლარი). 2020 წლიდან ხორციელდება 2 ახალი სახელმწიფო პროგრამა: **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 6 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 823 282 ლარი, თანადაფინანსება 610 883 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** განხორციელდა 15 პროექტი (ჯამურად 1 399 541 ლარი, თანადაფინანსება 574 859 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დახარჯულია 23 617 248 ლარი, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0 -დან (2013 წელს) 18 683 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;
- ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“** დაფინანსდა 15 საწარმო (ჯამურად 19 981 274 ლარი, დასაქმებულია 235 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 741 805 ლარის მოცულობის გრანტი გაიცა. 973 960 ლარის ინვესტიციით ჯამურად დაფინანსდა 71 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 36, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 35 პროექტი).

- მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;
- წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

ქვემო ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა: 5 ჰიდროელექტროსადგური (პანტიანიჰესი, კაზრეთიჰესი, დებედაჰესი, მარნეულიჰესი, ორო ჰესი). სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 9 მეგავატია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 7 მლნ აშშ დოლარი. ასევე, ექსპლოატაციაში შევიდა 2 თბოელექტროსადგური („გარდაბნის თბოსადგური“, „გარდაბნის თბოსადგური 2“) ჯამური დადგმული სიმძლავრით 461 მეგავატი, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 410 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის ეტაპზეა** ხრამი ჰესი (1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,13 მგვტ); ჯანდარა ჰესი (1,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე 0,25 მგვტ); დუმან მაშავერა-ჰესი – სავარაუდოდ 2 712 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 1,96 მგვტ). **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა** შემდეგი ენერგეტიკული პროექტები: ყიზილაჯლო ჰესი (5,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,10 მგვტ); „მტკვარი კასკადი 4“ (136 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 78,10 მგვტ); ხრამი ჰესი 3 (41 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 16,07 მგვტ); ხრამი ჰესი 4 (40 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 14,97 მგვტ); ხრამი ჰესი 5 (50 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე – 19,89 მგვტ); ქვემო ოროზმან ჰესი (1,3 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,63 მგვტ); მაშავერა ჰესი 3 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,20 მგვტ); მაშავერა ჰესი 2 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,02 მგვტ); ზემო ყარაბულახი ჰესი (1 960 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,03 მგვტ); ნახიდური ჰესი (16 მლნ. აშშ დოლარი დადგმ.სიმძლავრე 9 მგვტ); ხრამი 7 ჰესი (10,5 მლნ აშშ დოლარი დადგმ.სიმძლავრე 3 მგვტ); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა ქარის ელექტროსადგურების პროექტები:** „პირველი 1 ქარის ელ.სადგური“ (62 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 30,00 მგვტ); „სააკაძე ქარის ელ.სადგური“ (28 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 15,00 მგვტ); მარტყოფის ქარის ელ.სადგური (69 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 50 მგვტ); სამგორის ქარის ელ.სადგური (4 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე – 8 მგვტ); „გარდაბნის ბიო-თბოელექტროსადგური“ (1,5 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 3,00 მგვტ).

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 4 947 აბონენტი. 2013-2017

წლებში, 2,246 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი. 2015 წლიდან დღემდე ჩატარდა არა ერთი ტრენინგი და სწავლება, მათ შორის, აგროტურისტული ობიექტების მართვისა და ოპერირების ტრენინგი, ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული, ან სამომავლოდ დასასაქმებელი პირებისათვის. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით, განხორციელდა რამდენიმე **ტურისტული პროექტი**: „ღვინის გზის“ ფარგლებში, ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სრული რეაბილიტაცია; გარდაბნის აღკვეთილის რეაბილიტაცია.

- „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, **გარდაბნის მუნიციპალიტეტში,** ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 12 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 1 წყალპუნქტზე;

- სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);
- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

2022-2023 წლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, გარდაბანში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 27 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 2 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხიდს.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 10 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 761 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, გარდაბანში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარება, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 11 მილიონ ლარზე მეტით დაფინანსდა.

2021-2023 წლებში, დამატებით 16 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. კერძოდ, გარდაბანში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:

- სოფელ მუღანლოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვა – 5 998 000 ლ (მიმდინარე);
- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზემო და ქვემო თელეთში, წალასყურში, მუხრანთელეთში, ახალწყალში და კუმისში სასმელი წყლის სისტემის და გამრიცხველიანების მოწყობა – 9 899 994 ლ (მიმდინარე).

2021-2022 წლებისთვის, გარდაბანის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ ახალი სამგორის კულტურის სახლის რეაბილიტაცია – 135 531 ლ;
- სოფელ თელეთში საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა – 309 982 ლ;
- სოფელ კრწანისში საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია – 174 699 ლ;
- ქ. გარდაბანში თბოსადგურის გზის რეაბილიტაცია – 888 878 ლ;
- სოფელ ლემშვანიერაში ნაპირსამაგრისა და ხიდ-ბოგირის მოწყობა – 226 590 ლ;
- სოფელ მარტყოფში სასაფლაოს ტერიტორიის (საფირფარეშოები) მოწყობა – 97 881 ლ;
- სოფელ მარტყოფში შესასვლელში აბრის მოწყობა – 69 626 ლ;
- სოფელ ახალსოფელში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 528 676 ლ;
- სოფელ სართიჭალაში გზების რეაბილიტაცია – 1 011 324 ლ;
- სოფელ გამარჯვებაში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია – 441 980 ლ;
- სოფელ მარტყოფში გზების მოასფალტება – 433 796 ლ;
- სოფელ თელეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალწყალში და ქვემო თელეთში შიდაგზების რეაბილიტაცია – 452 409 ლ;
- სოფელ კრწანისში გზის რეაბილიტაცია – 317 453 ლ;
- ქ. გარდაბანში გორკის ქუჩის მოასფალტება – 201 372 ლ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚᲘ: „ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ ᲣᲙᲔᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ!“

ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲢᲧᲓᲐ: „ᲠᲝᲪᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲮᲛᲐ ᲓᲐᲘᲠᲮᲐ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲡ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ, ᲔᲒ ᲘᲚᲝᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡᲝ, ᲛᲙᲘᲗᲮᲐ. ᲙᲘ, ᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲐ, ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲑᲘᲭᲘᲐ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ. ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲛᲐᲛᲘᲡᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲘᲚᲝ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ, ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡᲝ, ᲛᲘᲗᲮᲠᲐ“. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚᲛᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ. ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲓᲔᲜᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲬᲐᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲐ – ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲛᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲪ ᲘᲧᲝ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ „ᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲓᲜᲔᲜ“. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲭᲘ ᲐᲠᲐᲐ, ᲗᲣᲙᲘ ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡ, ᲘᲡᲘᲪ ᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ, ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲬᲝᲓᲔᲑᲐᲐ. ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ – ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ. ᲬᲔᲡᲘᲔᲠ, ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲪᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ�გᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲕᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ�გᲐᲜ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲔᲠᲒᲝ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲡᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲔᲚᲘᲡ. ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ 2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲣ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲛ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ.

დაიბადა 1985 წლის 3 ნოემბერს.

2002-2006 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

2009-2010 წლებში იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; 2010– 2011 წლებში – გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის, სოფელ მარტყოფის ტერიტორიული ერთეულის სპეციალისტი; 2011-2012 წლებში გახლდათ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის, ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

2012-2014 წლებში იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის, სპორტული ცენტრის დირექტორი, 2014-2015 წლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ მარტყოფში; 2015-დან 2017 წლამდე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის, ზედამხედველობის სამსახურის პირველი რანგის პირველად სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობდა; 2017-2020 წლებში გახლდათ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პროექტების კოორდინატორი, 2020-2021 წლებში – გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმაინისტრაციული სამსახურის უფროსი. დღემდე – გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილეა.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– დავიბადე გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში. ჩემ ოჯახს მუნიციპალიტეტში საკმაოდ კარგად იცნობენ. მამა, ილია კარგარეთელი, წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო. წესიერი, პატიოსანი, სამართლიანი და კეთილი ადამიანი იყო. სანამ მშობელი გყავს, გგონია, ყოველთვის იქნება შენს გვერდით. მისი გარდაცვალების შემდეგ კი, მის ფასს უკეთ ხვდები. მამა 2015 წელს გარდაიცვალა. ეს ჩემთვის უდიდესი ტრაგედია იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ მივხვდი, რამდენ რამეს აკეთებდა ჩვენთვის. 12 წელი იმუშავა გარდაბნის პოლიციაში და საოცარი სახელი დატოვა. დღეს სადაც უნდა მივიდე, მისი სახელი წინ მხვდება. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა გვარის გამო იმის გასაგებად მოსულან ჩემთან, ილოს შვილი ხომ არ ვარ. ყველა, ქართველი იქნება თუ აზერბაიჯანელი, დიდი სიყვარულით იხსენებს და მას. ბედნიერი ვარ, რომ მუნიციპალიტეტში ასეთივე პატივისცემას იმსახურებს დედა. თამარ გულბანი პროფესიით პედიატრია, წლების განმავლობაში მარტყოფის ამბულატორიაში მუშაობდა და უკვე ოჯახის ექიმის რანგში, დღესაც აგრძელებს საქმიანობას. ერთი და მყავს. ჩემზე 2 წლით პატარაა, მაგრამ მასზე ბავშვობიდან განსაკუთრებით ვზრუნავდი. სხვათა შორის, არ მახსენდება როდესმე გვეჩხუბოს. დღეს ბანკში მუშაობს. ჰყავს მეუღლე, ლუკა კერატიშვილი, რომელიც ბიზნესსაქმიანობას ეწევა. ჩემს დას კარგი ოჯახი აქვს და ორ არაჩვეულებრივ შვილს ზრდის – ნიკოლოზსა და პატარა ევას.

– მშობლების პროფესიებმა თქვენზე ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რომ ექიმი ან პოლიციელი გამოსულიყავით?

– არც ექიმობაზე მიოცნებია და არც პოლიციელობაზე. შეიძლება იმის გამო, რომ ვხედავდი, ეს პროფესიები ჩემი მშობლებისგან მაქსიმალურ ენერგიასა და დროს ითხოვდა. სკოლა მარტყოფში დავამთავრე. განსაკუთრებით მომწონდა და მაინტერესებდა ისტორია. მშობლები მკაცრად არ გვზრდიდნენ. ჩვენგან მხოლოდ იმას ითხოვდნენ, წესიერები ვყოფილიყავით და კარგად გვესწავლა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი დავამთავრე. სწავლის პერიოდში, დამატებით საგნად მქონდა პოლიტოლოგია და პოლიტიკამ ძალიან დამაინტერესა. მოგვიანებით, ამის გამო გადავწყვიტე მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობა. თუმცა მანამდე, სწავლის დასრულების შემდეგ, წელიწადნახევარი დაცვის პოლიციაშიც მომიწია მუშაობა. პოლიცია ჩემთვის ყოველთვის ასოცირდებოდა ვიღაცის სიცოცხლის, უფლებების ან რაღაცის დაცვასთან. ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს უდიდეს პატივს ვცემ. ძალიან საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებენ, დასაფასებლები არიან, მაგრამ ეს საქმე აშკარად არ იყო ჩემი.

– დასაფასებელი ის საქმიანობაცაა, რომელსაც წლების განმავლობაში ეწეოდით. სხვადასხვა დროს, მერიაში სხვადასხვა პოზიცია გეკავათ. მათგან ყველაზე საპასუხისმგებლო და საამაყო თქვენთვის რომელი ეტაპია და პოლიტიკაში რა მიზნით მოხვედით?

– ყველა ეტაპი საპასუხისმგებლო იყო, მაგრამ განსაკუთრებული სიამაყით ვიხსენებ იმ 2 წელს, როცა სპორტული ცენტრის დირექტორი ვიყავი. მეამაყება, რომ ძალიან ბევრ სპორტსმენს შევუწყვეთ ხელი განვითარებაში. უზრუნველვყავით მათი დაფინანსება და სხვადასხვა შეკრებაზე გაგზავნა. მჭიდრო კავშირი გვქონდა თითქმის ყველა სოფელთან, ყველა სპორტულ დარბაზთან, სპორტსმენთან. გავხსენით სხვადასხვა სახეობების წრეები და მიხარია, რომ არაერთ ბავშვს შევუწყვეთ ხელი სპორტით დაკავებულიყო. ეს უმნიშვნელოვანესია. ყველა ჩემპიონი ვერ გამოვა, მაგრამ მთავარია, ჯანმრთელი თაობა გვეყოლება. გამარჯვების შემდეგ სპორტის ხელშეწყობა ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება. საპასუხისმგებლო იყო 2009 წლიდან გარდაბნის მერიაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობაც. აქ, 2012 წლამდე, 3 სამსახური გამოვიცვალე. ჩემს საქმესა და გარდაბანს პა-

ტიოსნად ვემსახურებოდი. მაშინ პოლიტიკასთან შეხება არ მქონია. თუმცა როგორც რიგით მოქალაქეს, ქვეყანაში მაშინ განვითარებული მოვლენების მიმართ პროტესტი გამიჩნდა. როცა ხელისუფლება შეიცვალა, ახალი ხელმძღვანელობისგან სამართლიანი და ღირსეული მიდგომები დავინახე. არანაირი მასშტაბური წმენდა, არანაირი სამსახურიდან დათხოვნა იმის გამო, რომ აქ წინა პერიოდშიც მოგვიწია მუშაობა, არანაირი ზედმეტი კითხვები. ყველას, ვინც საქმეს აკეთებდა, ამის საშუალება მისცეს. მალევე დავინახე, რომ ამ „ქართული ოცნების“ წევრებისთვის მთავარია ადამიანი და მისი უფლებების დაცვა, პრიორიტეტი კი ქვეყნის, მათ შორის რეგიონების განვითარებაა. გარდაბანში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება დაიწყეს, ამოქმედდა არაერთი სოციალური პრობლემა, რომლებიც სწორედ იმას ამტკიცებდა, რომ ხელისუფლება ხალხს უსმენს, ემსახურება და მისი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს. ამ ფონზე, მეც გამიჩნდა სურვილი ამ გუნდის გვერდით დავმდგარიყავი და მათთან ერთად არაერთი სიკეთე მომეტანა ქვეყნისთვის, რეგიონისთვის.

– რა სიკეთე მოუტანეთ მშობლიურ სოფელს, სადაც 2014-15 წლებში რწმუნებულის წარმომადგენელიც იყავით?

– ეს ძალიან საპასუხისმგებლო პოზიცია იყო. გამოგიტყდებით, თავიდან ვინერვიულე, რადგან იმ სოფელში უნდა მემუშავა, სადაც დავიბადე და გავიზარდე. მარტყოფთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს, მარტყოფი არ არის მხოლოდ ჩემი სოფელი, ის ჩემი სული და გულია, ჩემი სახლია და ყველაზე მშვიდად და ბედნიერად თავს სწორედ იქ ვგრძნობ. არასდროს მიფიქრია, მარტყოფიდან სხვაგან წასვლა და ცხოვრება. ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხე და ჩემი სოფლისთვის მაქსიმუმი გავაკეთე. მაგალითად, სოფლის ორივე საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა მოვახდინეთ, ისეთ უბნებში დავაგეთ მისასვლელი, ასფალტისსაფარიანი გზა, სადაც კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, ათეული წლებია არ ყოფილა... დღეს კი, გარდაბნის მერობის კანდიდატი ვარ. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა, დიდი პატივია და ამიტომ, გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დავფიქრდი. მადლობელი ვარ, რომ გუნდმა ამხელა ნდობა გამომიცხადა. გარდაბნის მუნიციპალიტეტში 18 ტერიტორიული ერთეულია და ამას ქალაქი გარდაბანიც ემატება. თითოეული მათგანის ამომრჩეველთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო.

– როგორც მივხვდი, ამომრჩეველთან მუდმივ კომუნიკაციას გეგმავთ.

– სწორად მიხვდით. რა თქმა უნდა, მუდმივად მექნება კონტაქტი ჩემს ამომრჩეველთან. მეტიც, ჩემი აზრით, მხოლოდ მიღების დღეები საკმარისი არ არის. მერს ყოველი დღე „მიღების“ უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, ვაპირებ ხშირად ვიარო სოფლებში, მოსახლეობას შევხვდე, მოვუსმინო მათ, გავიგო რა სჭირდებათ და მათთან ერთად დავსახო სამომავლო გეგმები. ჩვენ ერთად უნდა განვავითაროთ ჩვენი მუნიციპალიტეტი.

– გარდაბანს განვითარების რა პერსპექტივა აქვს და თქვენთვის რომელი მიმართულება იქნება პრიორიტეტი?

– სოფლის მეურნეობა გარდაბნის განვითარების მთავარი პერსპექტივაა. ერთი პერიოდი ჩვენი მუნიციპალიტეტი სახელმწიფოსთვის უდიდესი რესურსი იყო. აქ საკონსერვო ქარხანა ფუნქციონირებდა. კონსერვითა და ადგილობრივი პროდუქტებით გარდაბანი დედაქალაქს ამარაგებდა. სოფლის მეურნეობის დარგები უფრო უნდა განვითარდეს. მცირე მეწარმეების ხელშეწყობა აუცილებელია და ეს ხელისუფლების პრიორიტეტიცაა. სახელმწიფო მოქალაქეებს არაერთ სახეღვავათო პროგრამას სთავაზობს ამ მიმართულებით. მათ შესახებ ინფორმაციას დღესაც აქტიურად ვაწვდით ადამიანებს. ბევრი სარგებლობს კიდეც სოფლის მეურნეობის პროგრამებით. გარდაბანს აქვს ტურისტული პოტენციალიც – ღვთაების მონასტერი, ჯანდარის ტბა, აღკვეთილის ნაკრძალი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც 3 ათასზე მეტი ექსპონატი ინახება. აქ ტურისტებისთვის მიმზიდველი არაერთი ადგილია. და რა თქმა უნდა – თავად ქალაქი გარდაბანი, სადაც მეჩეთი და ეკლესია გვერდიგვერდ დგას და იმას უსვამს ხაზს, რომ აქ სხვადასხვა ეთნოსის, აღმსარებლობის ადამიანი მშვიდად თანაცხოვრობს.

– თქვენ როგორი ურთიერთობა გაქვთ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან და მათგან მხარდაჭერას ელოდებით?

– უამრავი აზერბაიჯანელი მეგობარი მყავს. როგორც მოგახსენეთ, ისინი მამაჩემსაც ძალიან დიდ პატივს სცემდნენ. მათგან დიდ სიყვარულს ვგრძნობ და რა თქმა უნდა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისგან დიდ მხარდაჭერას ველი. გამარჯვების შემთხვევაში აქცენტს გავაკეთებ ჩემი გარდაბნელების სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, კულტურის, სპორტის განვითარებაზე, მცირე მეწარმეობის ხელშეწყობაზე, რომელიც მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს... გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რასაც ხელი, პანდემიამაც კი ვერ შეუშალა.

– პანდემია ახსენეთ. რა ახალი რეალობის წინაშე დააყენა მუნიციპალიტეტი კოვიდ-19-მა და რამდენად ეფექტური იყო გარდაბანში მისი მართვა?

– ეს, როგორც მთელ საქართველოში და ზოგადად, მსოფლიოში, რთული პერიოდი იყო, რომელიც დღემდე გრძელდება. ვცდილობდით მოსახლეობისთვის მაქსიმალურად მიგვწოდებინა ინფორმაცია ვირუსის, რეგულაციების შესახებ. მათ სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში ვეხმარებოდით. ვფიქრობ, ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად, მუნიციპალიტეტმაც ეფექტურად შეძლო პანდემიის მართვა. დღეს მოსახლეობას მაქსიმალურად ვაწვდით ინფორმაციას ვაქცინაციის აუცილებლობაზე. სხვათა შორის, პანდემიის დროს ადამიანებმა სოფელი უფრო დააფასეს. ჩვენ მუნიციპალიტეტშიც არის შემთხვევები, რომ ადამიანები სოფელს დაუბრუნდნენ, მიწის დამუშავება დაიწყეს და მცირე მეწარმეობის განვითარებას ფიქრობენ.

– მარტყოფში მიწებს თქვენც ფლობთ. მიწას ამუშავებთ?

– მარტყოფში მცირე მიწის ნაკვეთი, ჯამში, დაახლოებით ერთ ჰექტარზე ოდნავ მეტი მაქვს, რაც მშობლებისგან მემკვიდრეობით მერგო. სასოფლო-სამეურნეო მიწებია, მაგრამ სამწუხაროდ, მეურნეობა არ მაქვს. სამომავლოდ, შესაძლოა ამ საქმით მეც დავკავდე. დღეს კი, ჩემი მთავარი მიზანი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებაა. დარწმუნებული ვარ, გარდაბანში არჩევნები მშვიდად, დემოკრატიულად ჩაივლის და გავიმარჯვებთ, რადგან „ქართული ოცნება“ უალტერნატივოა. მინდა ჩემი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვემსახურო და აქ მაქსიმალურად ბევრი კარგი საქმე გავაკეთო. მინდა გარდაბანი ხვალ უკეთ განვითარებული იყოს, მოსახლეობა კი – კმაყოფილი. დარწმუნებული ვარ, ამას ერთად შევძლებთ.

დავით კარგარეთელის ბავშვობის სიყვარული და „მამიკოს გოგონები“

ტრადიციულ ოჯახში დაბადებულ-გაზრდილმა, თავადაც ასეთი ოჯახი შექმნა. მომავალი მეუღლე – თინათინ ძამაშვილი პარალელურ კლასში სწავლობდა. სკოლის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, ჯერ საკუთარ თავს გამოუტყდა რომ მომავალში მისი ცოლად მოყვანა სურდა და მოგვიანებით, თინათინსაც აუხსნა სიყვარული. შეყვარებულობის პერიოდი 4-5 წელი გაგრძელდა. „ძალიან არ მაწვალა, მაგრამ სირთულეებიც იყო“, – ღიმილით იხსენებს კანდიდატი იმ პერიოდს, როცა ცდილობდა, რჩეულის გული მოეგო. მიზანს მაინც მიაღწია. ზოგადად ასეთია – რა დროც უნდა დასჭირდეს, ფარ-ხმალს არასდროს ყრის და დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევს! თინათინ ძამაშვილი იურისტია და მუნიციპალიტეტში პროფესიით მუშაობს.

ბედნიერ წყვილს 2 ქალიშვილი ჰყავს – 10 წლის თამარი და 6 წლის ნინი. თამარი კარგი მოსწავლეა, სამუსიკო სკოლაში სწავლობს და ამ სფეროთი ძალიან არის გატაცებული. პანდემიამდე რამდენიმე კონცერტიც ჰქონდა. ბატონმა დავითმა იმ დღეს საქმეები ისე გადაანაწილა, რომ შვილისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებას აუცილებლად დასწრებოდა. პატარა ნინი სკოლაში წელს შედის. მეტიჩარა და ძალიან ცელქია. როცა გაიგო, მეორე შვილს ელოდნენ, გაიფიქრა, იქნებ ბიჭი იყოსო. დღეს კი ფიქრობს, ნინი რომ არ დაბადებულიყო, არ ვიცი რა მეშველებოდაო. თამარსა და ნინის მამის განსაკუთრებული რიდი აქვთ. მამიკოს გოგონები ნამდვილად ჩემ გასაგიჟებლად დაიბადნენო, – ამბობს ბატონი დავითი და იმასაც გვიმხელს, რომ ყველაზე დიდ სიამოვნებასა და ენერგიას მათთან ყოფნით იღებს; ამიტომ, როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდება, გული ოჯახისკენ მიუწევს. ოჯახი მისი კომფორტის ზონაა.

ცდილობს, ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდიოს და ხშირად გოგონებსაც აიყოლიებს ხოლმე – ერთად ცურავენ ან დარბიან; უყვართ თეატრში ან კინოში წასვლაც... ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან სამ ქალბატონთან ერთად, ხშირად ბუნებაშიც გაისეირნებს. ამბობს, რომ წინასაარჩევნო მარათონშიც ოჯახი მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარია. ცოლ-ქმარს აქვს დათქმა – სამსახურის საქმეები ოჯახში ნაკლებად განიხილონ და როცა დრო აქვთ, უბრალოდ ერთად ყოფნით დატკბნენ, მაგრამ 2 ოქტომბრამდე ეს დათქმა დარღვეულია. ცოტა იმაზე ინერვიულეს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ოჯახისთავს მათთვის ნაკლები დრო დარჩება, მაგრამ მაინც მოუწონეს გადაწყვეტილება. მიზეზი ერთადერთია – დავით კარგარეთელი საყვარელი გარდაბნისთვის მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს, ბევრი კარგი საქმე გააკეთოს, რათა წლების შემდეგ, „მამიკოს გოგონებმა“ ისევე იამაყონ მისით, როგორც კანდიდატი დღეს მშობლებით ამაყობს.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, გარდაბნის მუნიციპალიტეტზე, გამოყოფილია 80 985 501 ლარი, დაფინანსდა 137 634 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (4 907 996,8 ლარი, 345 822 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (5 512 176 ლარი, 74 523 მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (50 991 065 ლარი, 31 922 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (13 047 612 ლარი, 13 798 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (4 653 680 ლარი, 7 886 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (3 244 838 ლარი, 6 732 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, ამ პროგრამით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 938 ბენეფიციარი (185 366 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. გარდაბნის მუნიციპალიტეტში 89%-დან 93,6%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი.

ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **გარდაბნის მუნიციპალიტეტში,** 300-მა პაციენტმა ისარგებლა სტაციონარული მკურნალობით (1 195 592 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით 2599 პაციენტმა (336 773 ლარი).

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. **2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღები იყო 11 034 ორსული (573 583 ლარი). მედიკამენტებით უზრუნველყოფილი 2528.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **გარდაბნიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1171 პირი (240 403 ლარი).**

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **გარდაბნის მუნიციპალიტეტს 104 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიის საძირკვლის მოწყობა სოფელ ნორიოში (10 980 ლ),სოფელ კრწანისის ამბულატორიის სარემონტო სამუშოები (12 281 ლ), ამბულატორიის შენობების რეაბილიტაცია სოფლებში: ღემშვანიერა (39 081 ლ), მუხროვანი (8 173 ლ), ახალი სამგორი (38 075 ლ), სააკაძე (25 044 ლ), ვაზიანი (24 070 ლ), ახალსოფელი (34 697 ლ), ახალი ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: მუხროვანი და საცხენისი (160 666 ლ), თელეთი (76 250 ლ), ახალი სამგორი (76 250 ლ). ქ. გარდაბნში, 3-ბრიგადიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობა №3-ის მშენებლობა. სოფელ გამარჯვებაში 1– ბრიგადიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობა №2-ის მშენებლობის შესყიდვა; სართიჭალაში 1-ბრიგადიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობა №2-ის მშენებლობა. დაგეგმილია ახალი ამბულატორიების აშენება სოფლებში გამარჯვება, ფოლადაანთკარი, კალინინო, ასევე სოფელ მარტყოფში 1-ბრიგადიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა, სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა და ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება 2,6-ჯერ გაიზარდა, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები – 214,0 ათასიდან 557,3 ათას ლარამდე.

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ).

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 13 223 პირია. 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2,6 -ჯერ – 13 864 641-დან 35 610 233 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წ,წ, სულ 214 863 708 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **გარდაბნის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები 223 პირია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,2-ჯერ - 244 951 ლარიდან 1 027 973 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ გაცემულია 7 227 332 ლარი.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. გარდაბანის მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 3776 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 7,3-ჯერ – 1 145 ათასიდან 8314 ათას ლარამდე გაიზარდა, და სულ, 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე დაიხარჯა 38 907 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 7605 ათასი, შშმ პირებზე – 2395 ათასი, ბავშვებზე – 18 015 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – გარდაბანში სოციალური პაკეტით სარგებლობს 2555 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომარეობით), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი თითქმის 6,8-ჯერ – 661 287 ლარიდან 4 466 764 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ 28 361 916 ლარი დაიხარჯა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში 1645 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, დევნილთა შემწეობებზე

გაწეული ხარჯი 630 422-დან 931 005 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 7 446 024 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართები 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **გარდაბნის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 235 ოჯახი – 80 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 125 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 93 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. 2013-2021 წ.წ. საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დაკმაყოფილდა, 667 ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, ხოლო 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით (**მესამე და მომდევნო ბავშვი) გარდაბანში დაფინანსებულია 6 ბენეფიციარი (01.04.2021 წ.) და, 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 51 100 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 15 300.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან გარდაბნის მუნიციპალიტეტზე – 3 888 180 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). 2020 წელს გარდაბანში ჩართული იყო 1 317 ოჯახი, 2021 წელს – 1713. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში 2020 წელს ისარგებლა 815-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 1087-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი 6 თვის განმავლობაში, რითაც გარდაბანში ისარგებლა 2020 წ. 1258-მა პირმა, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 752-მა.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, 3,7-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსურმა აქტივებმა 755,0 ათასიდან 2788,4 ათას ლარს მიაღწია.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის, ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა, უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის პროგრამა, მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა, სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა, მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა, ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პრო და გრამასხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

გამარჯვების საბავშვო ბაღი

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. გარდაბანში ფუნქციონირებს 33 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (5 – ქ. გარდაბანში, 28 – სოფლად).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. 2013 წელთან შედარებით, 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების 1 მლნ 280 ათასიდან 10 მლნ 957.2 ათას ლარამდე გაიზარდა.

2013-2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში გახორციელდა მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: **2013 წელს** დაიწყო სოფელ ახალსოფლის საბავშვო ბაღის მშენებლობა (297 000 ლარი). **2014-2018 წლებში** გარდაბნის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 77 პროექტი განხორციელდა, რაზეც ჯამურად 7 მლნ 540,1 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019-2020 წლებში** კეთილმოეწყო ეზოები მუნიციპალიტეტის სოფლების 17 საბავშვო ბაღში (3,5 მლნ ლარი); **დასრულდა** საბავშვო ბაღების მშენებლობის (II ეტაპი) სოფელ აღთაკლიასა და ყარათაკლიაში (938 ათასი ლარი); 2020 წელს განხორციელდა სოფელ ზემო თელეთის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა (196 ათასი ლარი); დასრულდა სოფელ მუღანლოს საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები (55,6 ათასი ლარი). **2019-2020 წლებში,** მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, აშენდა საბავშვო ბაღები სოფელ გამარჯვებსა და კუმისში (2,9 მლნ ლარი სახ. ბიუჯეტით).

2021 წელს მიმდინარეობს ქ. გარდაბნის მუნიციპალური საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები (724,9 ათასი ლარი). **დასრულდა:** სოფლების – ქვემო თელეთისა (721 ათასი ლარი) და სააკაძის (667 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების მშენებლობა-მოწყობის პროექტები;

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 1805-დან 3 254 აღსაზრდელამდე გაიზარდა. **კვების** თანხა გაიზარდა თითოეულ აღსაზრდელზე თვეში 68 ლარამდე, რითაც ბავშვთა კვების რაციონი სრულფასოვანი გახდა. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია საბავშვო ბაღების 30 ჯგუფში, სადაც 1118 ბავშვი და 30 აღმზრდელ-პედაგოგია. გარდაბნის საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 116 აღმზრდელ-პედაგოგი და 84 აღმზრდელი, 35 ექიმი/ექთანი და 13 ფსიქოლოგი. 2021 წელს გათვალისწინებულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა; ტრენინგები ბაგა-ბაღის აღმზრდელებისა და წარმომადგენლებისათვის, პანდემიის პირობებში სამუშაო გეგმის შემუშავება და გავრცელება.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 35 საჯარო სკოლა (ქალაქში – 4, სოფლად – 31), სადაც 13 106 მოსწავლე, 1 072

მასწავლებელი და 29 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 145 სსსმ მოსწავლე. მუნიციპალიტეტის 17 საჯარო სკოლას 46 მანდატური, 4 ექიმი და 1 ფსიქოლოგი ემსახურება. მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან საჯაროს სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის 86 კონსულტანტ-მასწავლებელია დასაქმებული. ექიმის კაბინეტი მოწყობილია 5 საჯარო სკოლაში.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამა, მათ შორის: პროგრამაში **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“** საზაფხულო სკოლებში, 2014-2019 წლებში, 99 მოსწავლე მონაწილეობდა, 2013-2020 წლებში, **„სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის“** პროგრამით განხორციელდა 42 სასკოლო პროექტი, 2017-2019 წლებში, დაფინანსდა სასკოლო აქტივობების 39 პროექტი. **„ახალი სკოლის მოდელით“** 2019 წელს, სოფ.სართიჭალის №1 სკოლას – 32, მარტყოფის №2 სკოლას – 32 ლეპტოპი გადაეცათ. **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით** ფარგლებში, 2017-2019 წ.წ. 44 კომპიუტერი გადაეცა 5 სკოლას. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში** სულ 3747-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** გარდაბნის საჯარო სკოლების აღჭურვის 47 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 27 პროექტი განხორციელდა. 2019 წელს, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით** 4 საჯარო სკოლა აღიჭურვა. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“, 2013-2019 წლებში,** პირველკლასელებს საჩუქრად 8008 კომპიუტერი გადაეცათ, დამრიგებლებს – 359. **„წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების“** პროგრამით, კომპიუტერებით დასაჩუქრდა 232 მოსწავლე. **ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 17 საჯარო სკოლის (31 მიმართულება) 1305 მოსწავლე. **2017-2020 წლებში,** სკოლებში უსასყიდლოდ დარიგდა 2053 **სასკოლო ჟურნალი და** 238 081 **სახელმძღვანელო**. **2013-2019 წლებში,** გარდაბნის საჯარო სკოლებში, საერთო ჯამში, 172 **ოქროსა და ვერცხლისმედალოსანი** გამოვლინდა. **2014-2019 წლებში,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 61 პროექტი განხორციელდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2013-2018 წლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 40 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 12 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლა. MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში მუნიციპალიტეტის 3 (ქალაქ გარდაბნის №4, სოფელ სართიჭალის №1 და მარტყოფის №2) საჯარო სკოლაა ჩართული.

2019 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 14 პროექტი (ჯამში, 1 მლნ 046,7 ლარი). რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. გარდაბნის №1, სართიჭალის №2, თელეთის, მუღანლოს, ახალსოფლის, ლემშვანიერას, ნაგების, კრწანისის, ყარათაკლიის, აღთაკლიის, კუმისის, ვახტანგისის №1 და №2 საჯარო სკოლებს.

2019-2020 წლებში, რეგიონული ფონდის დაფინანსებით, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და სველი წერტილები მოეწყო ქ. გარდაბნისა და მუნიციპალიტეტის სოფლების 23 საჯარო სკოლაში (ჯამურად 2,4 მლნ ლარი). ადაპტირებულია 18 სკოლა; ცენტრალური გათბობა დამონტაჟდა 19 სკოლაში; დასრულდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუხროვანში საჯარო სკოლის მშენებლობა (1 მლნ 39,1 ათასი ლარი);

2021 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს შემდეგი პროექტები სოფლებში: ნორიოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (4 მლნ 386,7 ათასი ლარი); კუმისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2 605 966.07 ლარი); ჯანდარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2 443 928.99 ლარი); ყიზილაჯლოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (3 105 636.97 ლარი); გამარჯვების საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (5 მლნ 141,3 ათასი ლარი); ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა ხორციელდება 3 სკოლაში.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს ქვემო ქართლის რეგიონის (ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული და წალკა)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს ქვემო ქართლის რეგიონიდან დაფინანსდა 27 სტუდენტი. 2019-2020 სასწავლო წელს – 27 სტუდენტი,. 2020-2021 სასწავლო წელს 27 სტუდენტი

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად, ასევე, განივითაროს ყველა ის უნარი, რომელიც საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია; 2022-2024 წლებში სოფელ ლემშვანიერაში, კრწანისსა და ფოლადაანთკარში აშენდება ახალი საბავშვო ბაღები – 2,8 მლნ ლარი;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად, ასევე, განივითაროს ყველა ის უნარი, რომელიც საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება გარდაბანში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია: 2022-2024 წლებში, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება გარდაბნის №3, მარტყოფის №1, ვახტანგისის №1, ახალსოფლისა და კალინინოს საჯარო სკოლებს – 6,5 მლნ ლარი; დაგეგმილია: სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 1,3 მლნ ლარი. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდება გამარჯვების საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

გარდაბანში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (სოფელ სართიჭალაში, ნორიოსა და სოფელ მარტყოფში ფუნქციონირებს მუზეუმის ფილიალები), გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მეგობრობის ცენტრი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომელიც აერთიანებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და სამუსიკო სკოლების დეპარტამენტს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის დეპარტამენტსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დეპარტამენტს, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბეთანია“.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები** 483,1 ათასიდან 797.7 ათას ლარამდე გაიზარდა.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაულები: აზერბაიჯანელების სახალხო დღესასწაული ნოვრუზ-ბაირამი, ასირიელი ხალხის სახალხო დღესასწაული ხაბ-ნისანი, აპარნობა, გარდაბნობა, კრწანისობა, ღვთაებობა და თელეთობა, ეწყობოდა გამოფენები, ტარდება დედა ენის დღის, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის, 26 მაისის და სხვა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, იმართება სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მწერლებსა და პოეტებთან. აღსანიშნავია ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა აღნიშნულ აქტივობებში.

2016-2021 წლებში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ხორციელდება **პროექტი – „მრავალფეროვანი საქართველო“,** რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. პროექტის ფარგლებში იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო ტიპის ღონისძიებები/აქტივობები, მათ შორის: შეხვედრები ქართველ და აზერბაიჯანელ ხელოვანებთან (მწერლები/პოეტები, მხატვრები, თეატრისა და კინოს რეჟისორები, მუსიკოსები) და მეცნიერებთან, ტარდება სხვადასხვა ტიპის ლექცია-სემინარები, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება/განხილვა, საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, კონცერტები ადგილობრივი და დედაქალაქიდან ჩასული ფოლკლორული ანსამბლებისა და თანამედროვე მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით, გამოფენები, სპექტაკლების ჩვენება. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკები (მუნიციპალური, რაიონული, სასკოლო) ახლდება სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნებით.

2013-2021 წლებში, კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი განხორციელდა, მათ შორის: სოფელ ნორიოსა (71,3 ათასი ლარი) და სოფელ მარტყოფის (154,3 ათასი ლარი) კულტურის სახლების რეაბილიტაცია. შემოიღობა და რეაბილიტირდა მარტყოფის ციხე-კოშკი (26,3 ათასი ლარი). ქ. გარდაბნის კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდმა 724, 7 ათასი ლარით დააფინანსა;

ᲧᲐᲠᲐᲗᲐᲙᲚᲘᲐᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ

2017-2018 წლებში სართიჭალის კულტურის სახლის დარბაზის რეკონსტრუქციაზე 23,9 ათასი ლარი დაიხარჯა; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ომში დაღუპულთა მემორიალს და კეთილმოეწყო მისი მიმდებარე ტერიტორია (73, 2 ათასი ლარი); დასრულდა 9 აპრილის ძეგლისა და მასთან მდებარე სკვერის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები (207,3 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა გარდაბნის სამუსიკო სკოლას (78,3 ათასი ლარი); სოფელ სართიჭალაში კეთილმოეწყო კულტურის ცენტრის დარბაზი (70 ათასი ლარი).

2019 წელს განხორციელდა: მარტყოფის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაცია (276,6 ათასი ლარი); კუმისის კოშკის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაცია (18 ათასი ლარი); ქ. გარდაბნის მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია (90,4 ათასი ლარი); შემოიღობა სოფელი გამარჯვების კულტურის სახლის ეზო (18,5 ათასი ლარი); განხორციელდა სოფელ კრწანისის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (18,8 ათასი ლარი). **2021 წელს** მიმდინარეობს ახალი სამგორის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (135,5 ათასი ლარი);

მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განახორციელა ღვთაების მონასტრის ჩრდილოეთის მკლავის საძირკვლის გამაგრება (რეაბილიტაციის, აღდგენისა და შუალედური კორექტირების პროექტის შემუშავება).

განხორციელდა მუნიციპალიტეტში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღწერა, დოკუმენტირება და მონაცემთა ბაზის შევსება .

2019 წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის გარდაბანის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი – **„ციხესიმაგრეები – მომავლის მცველები“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 16,2 ათასი ლარი).

გარდაბანის მუნიციპალიტეტს ფარავს **„გერმანული დასახლებების მარშრუტი“,** რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გარდაბანში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სპორტული ცენტრი, სადაც, 2021 წლის მდგომარეობით, 35 ჯგუფია.

გარდაბნის სპორტულ ცენტრში 850 სპორტსმენი ეუფლება სპორტის სხვადასხვა სახეობას (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, ფრენბურთი, მკლავჭიდი, კალათბურთი, ფეხბურთი,ჯიუ-ჯიცუ, რაგბი, კრივი, კიკბოქსი და ფარიკაობა).

ყოველი წლის დასაწყისში სპორტული ცენტრი ამტკიცებს სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია წლის განმავლობაში ჩასატარებელი სამუშაოები. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის ძირითადი მიზნებია ახალგაზრდა თაობის სპორტული აღზრდა, ცენტრში რეგისტრირებულ სპორტსმენთა ხელშეწყობა და განვითარება. აღსაზრდელ სპორტსმენთა ბაზად ძირითადად წარმოდგენილია სპორტული დარბაზები, საფეხბურთო მოედნები და საჯარო სკოლების სპორტული დარბაზები.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები 363,3 ათასიდან 1 268.6 ათას ლარამდე გაიზარდა.

2018-2019 წლებში სპორტულმა ცენტრმა ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 2002-2005 წლებში დაბადებულ მოსწავლე სპორტსმენებს შორის.

საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების გუნდის წევრის ეროვნულ მოძრაობაში დაღუპული გიორგი (გოჩა) გურულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი 23-ე ტრადიციული ღია პირველობა ფეხბურთში, 2004-2005 წლებში დაბადებულ მოსწავლე სპორტსმენებს შორის.

საერთაშორისო ღია პირველობა კიკბოქსინგში 2000-2001; 2002-2003; 2004-2005 წლებში დაბადებულ მოსწავლე-სპორტსმენებს შორის (მონაწილეობა მიიღო 78 სპორტსმენმა).

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების გუნდის წევრის, დავით თანდარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა ფეხბურთში, 2004-2005 წლებში დაბადებულ მოსწავლე-სპორტსმენებს შორის (75 მოსწავლე-სპორტსმენი),

ღია პირველობა კრივში, 2004-2005 წლებში დაბადებულ და უმცროსი ასაკის მოსწავლე-სპორტსმენებს შორის.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის როზა ჯოლოგუას ხსოვნისადმი მიძღვნილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტული ცენტრის საერთაშორისო ღია პირველობა ფარიკაობის სამ სახეობაში (დაშნა, რაპირა, ხმალი), 2004-2005; 2006-2008 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის.

ევროპის მრავალგზის ჩემპიონისა და მსოფლიო ჩემპიონის ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ღია პირველობა ძიუდოში.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თამაზ (ჯონი) რეხვიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი, მათ შორის: სოფ. გამარჯვების სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია (15 ათასი ლარი); სოფ. მარტყოფის სპორტული დარბაზის კეთილმოწყობა (28,4 ათასი ლარი); სოფ. გამარჯვების სპორტული დარბაზის რემონტი (28,8 ათასი ლარი); სოფ. ლემშვანიერას სპორტული მოედნის მოწყობა (78,3 ათასი ლარი); სოფ. სართიჭალის სპორტული მოედნის მოწყობა (28,8 ათასი ლარი); ქ. გარდაბნის სპორტული მოედნების მოწყობა (167,3 ათასი ლარი, 2015 წ. რეგიონული განვითარების ფონდი); სოფლების (კრწანისი, კუმისი, ნორიო, მარტყოფი) სპორტული მოედნების მოწყობა (356,5 ათასი ლარი, 2015 წ. რეგიონული განვითარების ფონდი); სოფ. ქვემო კაპანახჩის სპორტული მოედნის შემოღობვა (15,3 ათასი ლარი); სოფ. სართიჭალის ფეხბურთის მოედნის საშხაპეების მოწყობა (19,2 ათასი ლარი); სოფ. მუღანლოს სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა (14,8 ათასი ლარი); სოფ. მარტყოფის ძიუდოს დარბაზის საშხაპეების მოწყობა-რეაბილიტაცია (9,6 ათასი ლარი); ქ. გარდაბნის სამი მინი მოედნის რეაბილიტაცია (77 ათასი ლარი); ქ. გარდაბნის (აღმაშენებლის, ლესელიძის, ლელაშხას, ენერგეტიკის და ტელმანის ქუჩებზე) საბავშვო მოედნების მოწყობა (118,0 ათასი ლარი); სოფ. მზიანეთის სპორტული მოედნის შემოღობვა (9,0 ათასი ლარი); სოფ. ყარაჯალარის მინიმოედნის მშენებლობა (60,3 ათასი ლარი); სოფ. წალასყურის სტადიონის მოწყობა (12,4 ათასი ლარი); სოფ. სართიჭალას სტადიონის კეთილმოწყობა (35,2 ათასი ლარი); სოფ. ნორიოში, ძიუდოს დარბაზის მოწყობა (470 ათასი ლარი) და სოფ. სართიჭალაში, ძიუდოს დარბაზის მოწყობა (459,1 ათასი ლარი).

2013-2019 წლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სპორტული მინიმოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის 34 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 2 მლნ 338,9 ათასი ლარი დაიხარჯა. სპორტული მოედნები მოეწყო ქ. გარდაბანში (7 ერთეული); სოფლებში: ახალშენი (2 ერთეული), სართიჭალა (5 ერთეული), ლემშვანიერა, კრწანისი, კუმისი, ნორიო (2 ერთეული), მარტყოფი, მუღანლო (2 ერთეული), ყარაჯალარი (2 ერთეული), წალასყური, ვაზიანი, გამარჯვება, გამარჯვება I, ბირლიკი, ახალი სამგორი, თელეთი, ახალსოფელი, ყარათაკლია, ჯანდარა, აღთაკლია. 2019 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ დარბაზებს სოფლებში: ვახტანგისი (18,8 ათასი ლარი), მზიანეთი (11,2 ათასი ლარი), სართიჭალა (23,8 ათასი ლარი);

2019 წელს გარესავარჯიშო მოწყობილობები დაიდგა სოფლებში: ზემო თელეთი, ახალწყალი, მუხრანთელეთი, წალასყური და სააკაძე, რაზეც, საერთო ჯამში, 65,8 ათასი ლარი დაიხარჯა. მუნიციპალი-

ტეტის 11 სოფელში ქუჩის ტრენაჟორები მოწყობა 151, 9 ათასი ლარით დაფინანსდა;

2021 წელს მიმდინარეობს სოფელ კრწანისისა და ვახტანგისის სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია, რაზეც 893 ათასი ლარი დაიხარჯება, ხოლო სოფლებში – მარტყოფი, ლემშვანიერა, თელეთი, კუმისი, წალასყური – სპორტული მოედნების მოწყობაზე – 415,8 ათასი ლარი;

2013-2018 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, **სპორტულმა ფედერაციებმა გარდაბნის მუნიციპალიტეტში** 6 შიდაჩემპიონატი (17,1 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,6 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (1 ათასი ლარი).

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ახალგაზრდობის სფეროში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, გარდაბნის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელა, მათ შორის: „სკაუტური ბანაკი“ (მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); ლაშქრობების მოწყობა (3-3 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან);„საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2016-2019 წლებში, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის ინიციატივით, განხორციელდა ყოველწლიური ახალგაზრდული პროექტი **„შემოიარე საქართველო“** (დაიხარჯა სულ 98 ათასი ლარი); პროექტი ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის და მასში მონაწილეებს (წარჩინებულ ახალგაზრდებს, ახალგაზრდებს მრავალშვილიანი, შეჭირვებული, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან) საშუალება აქვთ, იმოგზაურონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (პროექტი შედგება 10 ტურისგან, თითოეულ ტურში მონაწილეობს 20 ახალგაზრდა). პროექტების მიზანია ახალგაზრდებისთვის საქართველოს ისტორიული მხარეების გაცნობა, ერთმანეთთან დამეგობრება, ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება და უმცირესობების ინტეგრაციის დონის გაზრდა. **2020 წელს**, პროექტი „შემოიარე საქართველო“ კოვიდპანდემიის გამო, ვერ განხორციელდა, თუმცა სამომავლოდ იგეგმება პროექტის ბიუჯეტისა და მასშტაბების გაზრდა.

2019 წელს ჩატარდა ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი „საგანძურის ძიება“, რომელშიც 80 ახალგაზრდა იყო ჩართული (10 000 ლარი);

სხვადასხვა სახალხო დღესასწაულების, შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებებისთვის – გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 150,5 ათასი ლარი იხარჯება.

2021 წელს **ჩატარდება** ახალგაზრდების საჭიროების კვლევა; **შეიქმნება** ადგილობრივი ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; **გადამზადდება** გარდაბნის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორად.

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2022 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება ნორიოს მუზეუმის შენობას – 150 ათასი ლარი;
- 2023 წელს დაგეგმილია სოფელ გამარჯვების კულტურის სახლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 150 ათასი ლარი;
- 2024 წელს დაგეგმილია მარტყოფის კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია – 300 ათასი ლარი;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, განხორციელდება ტრენინგები მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომლებისთვის;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას;
- განხორციელდება სპორტის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, დაგეგმილია ახალი სპორტის სასახლის აშენება გარდაბანში – 3 მლნ 600 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის 4 სოფელში მოეწყობა მინი სპორტული მოედანი – 430,5 ათასი ლარი;
- 2021 წელს დაგეგმილია სპორტული მოედნების მოწყობა მარტყოფში, ვაზიანსა და ნაზარლოში (თითოეულ სოფელში ორ-ორი მოედანი) – 323,9 ათასი ლარი;
- 2021 წელს არსებულ სკვერებთან ტრენაჟორები მოეწყობა სოფელ ნორიოში, ზემო ქვიშიანში, ყარაჯალარში, ქესალოსა და ვაზიანში – 90 ათასი ლარი (პროექტი ხორციელდება სოფლის პროგრამის ფარგლებში);
- გარდაბანში დაგეგმილია ძიუდოს დარბაზის შენობის რეაბილიტაცია – 107,9 ათასი ლარი;
- დაგეგმილია გარდაბანში, ლელაშხის დასახლებაში არსებული სარიტუალო დარბაზის სპორტდარბაზად გადაკეთება-მოწყობა – 159,6 ათასი ლარი;
- ახალი სპორტული დარბაზები მოეწყობა მარტყოფში ნორიოსა და კუმისში – 5,8 მლნ ლარი;
- დაგეგმილია სოფელ სართიჭალაში არსებული საჭიდაო დარბაზის რეკონსტრუქცია-გაფართოება – 1 მილიონი ლარი;
- 2022-2023 წლებში, განხორციელდება გარდაბნის ცენტრალური სტადიონისა და მუნიციპალიტეტის 8 სოფლის (ქესალო, ვახტანგისი, გამარჯვება, ყარაჯალარი, ნაზარლო, ახალი სამგორი, ნორიო, ჯანდარა) სტადიონებისა და მინიმოედნების რეაბილიტაცია-მოწყობა – 900 ათასი ლარი;
- 2022-2025 წლებში, გარე სპორტული ტრენაჟორები მოეწყობა გარდაბანში, მარტყოფში, აღთაკლიაში, კუმისში, ახალსოფელში, ჯანდარაში, ქესალოში – 1,7 მილიონი ლარი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.
- ყოველწლიურად განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის ინიციატივით ჩატარდება ახალგაზრდული პროექტი „შემოიარე საქართველო“. იგეგმება პროექტის ბიუჯეტის და მასშტაბების გაზრდა.

ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2017-2020 წლებში, **გარდაბნის მუნიციპალიტეტში,** მძიმე დანაშაულის (იმ **5** სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ., კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 57 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 35, ანუ 61%, რაც გახსნის საშუალო მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 12-17 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

ᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

2016-2019 წ.წ. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

2017-2020 წ.წ. მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა წლების მიხედვით დიდად არ იცვლება და წინა წლებისგან განსხვავებით, სტაბილურია; პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები პროცენტულად მაღალი არ არის, და 6%-ს (2019 წელს) არ აღემატება. გასულ 2020 წელს, მხოლოდ 2 ასეთი შემთხვევა იყო აღრიცხული, რაც პრობაციონერთა 0,7%-ს შეადგენს. პრობაციონერთა შორის რეციდივის ასეთი დაბალი მაჩვენებელი მეტყველებს, რომ მუნიციპალიტეტში კრიმინოგენული მდგომარეობა სტაბილურია.

პრობაციის სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტში 1 მსჯავრდებული დასაქმდა. სამომავლოდ სააგენტო მეტ მსჯავრდებულს შეუწყობს აქტიურად ხელს ადგილზე დასასაქმებლად. ასევე, მიუხედავად პანდემიის გამოწვევისა, განზრახულია მუნიციპალიტეტში პრობაციონერთათვის სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის დანერგვა და ეფექტიანი განხორციელება.

გარდაბნის იუსტიციის სახლი და საზოგადოებრივი ცენტრები

2021 წლის 24 ივნისს გარდაბანში გაიხსნა იუსტიციის სახლი, რომელიც მოსახლეობას 450-მდე სახის მომსახურეობას გაუწევს;

იუსტიციის სახლის გახსნის შემდეგ, მუნიციპალიტეტის ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მისთვის კომფორტულ გარემოში, ერთ შენობაში, ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე და მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები.

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია, მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიულ სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

სოფელ სართიჭალაში საზოგადოებრივი ცენტრი, საქართველოში ერთ-ერთი პირველი, 2012 წლის 24 სექტემბერს, გაიხსნა; 2016 წლის 24 მარტიდან გაიხსნა სოფელ მარტყოფის საზოგადოებრივი ცენტრი.

ᲪᲮ. 1 ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ 2017-2020 ᲬᲬ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017	2018	2019	2020
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)	2	2	3	5
მათ შორის, გახსნილი	2	1	1	4
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	5	8	5	5
მათ შორის, გახსნილი	4	7	5	3
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	2	0	1	1
მათ შორის, გახსნილი	1	0	0	0
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	2	4	5	1
მათ შორის, გახსნილი	1	2	0	1
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	3	3	0	0
მათ შორის, გახსნილი	2	1	0	0
სულ	14	17	14	12
მათ შორის გახსნილი	10	11	6	8

ᲪᲮ.2 ᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	279	363	252	292
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	1	0	1	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	11 (3,9%)	14 (3,9%)	15 (6%)	2 (0,7%)
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	1	0	0	0

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ვისაც საკუთარ სამშობლოსა და მუნიციპალიტეტზე გული შესტკივა, აუცილებლად უფიქრია, როგორი იქნებოდა მისი მშობლიური მხარე, გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა რომ ჰქონდეს. მიფიქრია მეც, ჩემს გარდაბანში რას და როგორ შევცვლიდი, რას გავაკეთებდი უკეთ!

დღეს, ძალიან ბედნიერი ვარ, იმავდროულად კი, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რადგანაც ჩვენი გუნდი – „ქართული ოცნება“ მშობლიური მუნიციპალიტეტისა და აქ მაცხოვრებლების სამსახურში ყოფნის შესაძლებლობას მაძლევს.

ამაყი ვარ, რომ მეძლევა შესაძლებლობა, თითოეულ თქვენგანს საკუთარი შრომით გადავუხადო მადლობა იმ დამოკიდებულებისთვის, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი. დარწმუნებული ვარ, თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩვენს შორის არსებული, ურთიერთპატივისცემასა და მხარში დგომაზე დაფუძნებული დამოკიდებულება კიდევ უფრო გამყარდება!

ჩვენმა გუნდმა საარჩევნო სლოგანად – „განვითარება ყველა რეგიონს“ – აირჩია. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავარი პრიორიტეტი სწორედ რეგიონებზე გაკეთდება. მერწმუნეთ, ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას სრულად მოვახმარ დასახული მიზნების განხორციელებასა და გარდაბნის კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

ერთად დგომითა და თავდაუზოგავი შრომით, აუცილებლად მოვახერხებთ ყველა ძირეული პრობლემის გადაჭრას, ყველა დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და გარდაბანს გამორჩეულ მუნიციპალიტეტად ვაქცევთ.

ჩვენ ამას შევძლებთ! გარდაბანი აუცილებლად გაიმარჯვებს!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.